საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი 16:00, 17 მარტი, 2021

1. კანონპროექტები „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ და „ამნისტიის შესახებ“

კანონპროექტები ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელისაგან იმ პირების გათავისუფლებას, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151(1) მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ჩაიდინეს და სს პასუხისგებისა და სასჯელისაგან იმ პირების გათავისუფლებას - რომელთაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინეს.

- *მომხსენებელი* - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

2. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილის საფუძველზე საბჭო განიხილავს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებს.

- *მომხსენებელი* - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი ვახტანგ გარდაფხაძე

3. ზოგიერთი მოსამართლის საწვავით უზრუნველყოფის შესახებ

მოსამართლე ნ. კობახიძის წერილის საფუძველზე საბჭო განიხილავს სამსახურებრივი გადაადგილებისათვის მისთვის საწვავის გამოყოფის საკითხს.

- *მომხსენებელი* - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცედურაში მონაწილე კანდიდატებთან გასაუბრება და კენჭისყრა

2021 წლის 2 მარტს ინიცირებული პროცესის შეჯამება.

- *მომხსენებელი* - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

- *მომხსენებელი* - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი